საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

UNDP-GEF KURA

Empowered lives.
Resilient nations.

# წყალი და სიცოცხლე

## III–V კლასები

“წყლის რაციონალური მოხმარება ქ.გორის საყოფაცხოვრებო სექტორში”,

“Rational Water Use in the Municipal Sector in Gori City”

# წყალი და სიცოცხლე

წყალი ადამიანისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების არსებობისთვის აუცილებელი ნივთიერებაა.





ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების მთავარი მამოძრავებელი სწორედ წყალია.

უნდა გვახსოვდეს, რომ არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ სხვა ცოცხალ ორგანიზმებსაც - მცენარეებსა და ცხოველებს - ესაჭიროებათ წყალი.





Õ ეს საინტერესოა Õ

ადამიანს საკვების გარეშე თითქმის სამი კვირა შეუძლია არსებობა, წყლის გარეშე კი სამ დღეზე მეტხანს ვერ გაძლებს. ადამიანის სხეულის უდიდესი ნაწილი წყალია. სხვადასხვა საჭიროებისთვის ზრდასრულ ადამიანს ყოველდღიურად თითქმის 100 ლიტრამდე წყალი ესაჭიროება.



უფრო მეტიც, წყალი აყალიბებს იმ გარემოს, სადაც ეს ცოცხალი ორგანიზმები ბინადრობენ და განაპირობებს ეკოსისტემების არსებობას. ეკოსისტემებს კი ისეთივე უფლებები აქვთ წყალზე, როგორიც ადამიანებს და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს.

თანამედროვე ადამიანის საქმიანობის ყველა სფერო წყლის გამოყენებასთან არის დაკავშირებული, იქნება ეს ელექტროენერგიის გამომუშავება, სხვადასხვა საწარმო, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღება თუ ტვირთის გადაზიდვა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამგვარი სარგებლობა უსაფრთხო არ არის თვითონ წყლის რესურსებისთვის. ადამიანის საქმიანობის შედეგად კლებულობს წყლის რაოდენობა. ასევე, გამოყენების პროცესში ის  ბინძურდება.

ამგვარი მდგომარეობის შენარჩუნების შემთხვევაში, წყალი აღარ იქნება საკმარისი არც ადამიანებისთვის და არც დედამიწაზე არსებული სხვა ცოცხალი ორგანიზმებისთვის.

საჭიროა მნიშვნელოვნად შეიცვალოს ადამიანების დამოკიდებულება წყლის გამოყენების მიმართ. თითოეულმა ჩვენგანმა კარგად უნდა გაიაზროს არსებული პრობლემები და ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს წყლის გამოყენებას. ჩვენ შეგვიძლია, არ დავაბინძუროთ წყალი და არ გამოვიყენოთ ის იმაზე მეტი, ვიდრე გვჭირდება.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ წყალი არის ის მთავარი ნივთიერება, რომელიც განაპირობებს ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის არსებობას.



## გააკეთე თავად

- გაიხსენე სამი ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელთაც ბუნებისგან იღებს ადამიანი. დაფიქრდი, რით შეიძლება უკავშირდებოდეს წყალს შენ მიერ მოფიქრებული სარგებელი;

- გაიხსენე წყლის უყაირათოდ (არარაციონალურად) გამოყენების მაგალითები იქ, სადაც შენ ცხოვრობ. კლასში მეგობრებსა და მასწავლებელთან ერთად განიხილე, თუ როგორ იხარჯება წყალი უყაირათოდ და რა გზით არის შესაძლებელი ამის თავიდან აცილება.



გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) "მტკვარი II" პროექტის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „გარემო და განვითარება“ ახორციელებს სადემონსტრაციო კამპანიას „წყლის რაციონალური მოხმარება ქ. გორის საყოფაცხოვრებო სექტორში“.


## გარემო და განვითარება

რაზმაძის ქუჩა N29 0179, თბილისი, საქართველო

info@envdevelopment.org

www.envdevelopment.org


შემოგვიერთდით ფეისბუქ და ინსტაგრამ გვერდზე:

„Water for all - Gori“

„Water for all - Gori“